პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

[illegible]

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრონშტადტის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

ხელისმოწერა და ფასთა
და განცხადება სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.

ტელეფონი №

№ 212 ოთხშაბათი, 16 ნოემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი ოთხშაბათი, 16 ნოემბერი, 1921 წ. № 212

16 ნოემბერი
ოთხშაბათი

1918. სრულიად რუსეთის მუშა-ქალთა თათბირის გახსნა მოსკოვში; დაესწრო ათასამდე დელეგატი ქ-ლი.

1905 ცირკულიარი, რომლითაც გაუქმდა სანადელო მიწების გამოსყიდვის ფასი, გლეხების დაშოშმინების მიზნით.

დღიური

ინგლისში უმუშევართა რიცხვი თანდათან მატულობს და მდგომარეობა მწვავდება; ქვანახშირის და ლითონის მადაროები ერთიმეორეზე იხურება.

რომში (იტალია) მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება ფაშისტებსა (ერთგვარ [illegible]) და კომუნისტებს შორის, მრავალი მოკლულ დაჭრილია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

აუწყებს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს, რომ კომუნისტურ პარტიის პირველი ყრილობა, რომელიც დანიშნული იყო 1 დეკემბერს გადატანილია 25 დეკემბრისათვის.

ცეკას მდივანი: ოკუჯავა.
ორგან. განყ. გამგის მოვ. დონენკო.

ამიერ-კავკასიის ფედერაცია

პოლიტიკური წყობილება რომ ეკონომიური სამირკვლის ზედნაშენია, ეს მარქსიზმის ანბანია. პროლეტარული პარტია რომ ეკონომიური საზომით ზომავს პოლიტიკურ წყობილებას, ისიც ცხადი ჭეშმარიტებაა.

ჩვენი ხანა მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ხანაა. ამ რევოლუციის მიზანია ბურჟუაზიული კლასების ექსპროპრიაცია ეკონომიურათ და პოლიტიკურათ. ბურჟუაზიული, კაპიტალისტური წესი წარმოებისა ადგილს უთმობს სოციალისტურ წარმოებას საყოველთაო შრომის ბეგარის ნიადაგზე. მაგრამ გარდამავალ ხანაში გამარჯვებულ პროლეტარიატს ესაჭიროება ძალდატანებითი ორგანოების შენარჩუნება, მას ესაჭიროება მუშური სახელმწიფოს აპარატი, დიქტატურის გამტარებელი. ასეთი სახელმწიფოს ფორმა უკვე გამონახულია, ეს არის მშრომელთა, საბჭოთა ხელისუფლება, საბჭოთა რესპუბლიკა.

პროლეტარული რევოლუცია საბოლოოდ გაიმარჯვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მსოფლიო ხასიათს მიიღებს, თუ მისი ალი მოედება დაწინაურებულ ქვეყნებში მაინც. ეს ხანგრძლივი პროცესია. თუ საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია საბოლოოდ განმტკიცდა, ე. ი. განუყოფელი ბატონობა დაუმკვიდრა ბურჟუაზიას, მხოლოდ ათეული წლის ბრძოლის, დამარცხება-გამარჯვების, შემდეგ, სოციალისტური რევოლუციის საბოლოო გამარჯვებასაც მოუნდება მთელი თაობის ბრძოლა.

ასეთ ბრძოლაში დღეს ჩაბმულნი საბჭოთა რესპუბლიკები. ისინი გარშემორტყმულნი არიან ბურჟუაზიულ სახელმწიფოებით, სადაც ბატონობა ჯერ კიდევ უპყრიათ, სისხლმოწყურებულ მტარვალთა კლასების ხელში.

ასეთ პირობებში საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო კავშირი, სამხედრო, სამეურნეო, სატრანსპორტო და სხ., ყოვლად აუცილებელია მარტო თავდაცვის მიზნითაც კი; ასეთ კავშირს მოითხოვს ჩვენებურ ისტორია და რევოლუციის ინტერესები.

მაგრამ ასეთს კავშირს მოითხოვს ეკონომიური განვითარების და მო[illegible]ების მოსაზრებაც. ვისთვის, რომელ სოციალისტისათვის ან დემოკრატისათვის იყო ამ რამდენიმე წლის წინეთ საეჭვო, რომ მსხვილი მეურნეობა, მსხვილი ეკონომიური ერთეული მეტი სარგებლიანობის, საწარმოო ძალთა განვითარების წინსვლის და პროგრესის მომასწავებელია? გარდა ამისა, წინადვე წყლის ნაციონალისტებისა არავის მოუთხოვია ჩვენში საქართველოს შემოფარგვლა სახელმწიფო საზღვრებით, საქართველოს ჩამოჭრა ამიერ კავკასიისა და რუსეთისაგანაც კი, ქართველი ნაციონალისტები ეტოდნენ მხოლოდ საქართველოს ავტონომიის შინაურ საკითხებში, თვითმპყრობელურ ან-და მომავალ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რუსეთის ფარგლებში დარჩენით. საქართველოს საზღვრებზე საბაჟოების დაარსების ხსენება ოცნებადით, ყოველ შემთხვევაში ამაზე შორს არ მიდიოდნენ მაშინაც კი, როცა მოქმედების სარბიელი თავისუფალი შეიქმა, როცა რუსეთის მეორე რევოლუციამ შესაძლებელი გახადა ხალხთა „ისტორიულ უფლებებზე" ჩივილი და მოთხოვნილების წამოყენება.

როგორ შეხედა სოციალ დემოკრატია საქართველოს ავტონომიის საკითხს? მან ეკონომიური საზომით მიუდგა ამ საკითხს და განაცხადა ნ. ჟორდანიას პირით: **საქართველოს ავტონომია ეკონომიური რეაქციის მომასწავებელია** *). ავტონომია ამიერ კავკასიის მთლიან ეკონომიურ და სამეურნეო სხეულს აქუცმაცებს, ამით ასუსტებს მის საწარმოო ძალებს, ასე უხშობს პროგრესისაკენ და სპარსეთის ბედს უმზადებსო.

და რაკი ავტონომია თიშავს პროლეტარიატს, ათავსებს მას ცალცალკე ეროვნულ ნაჭუჭებში—ამიტომ ის **პოლიტიკური რეაქციის** მომასწავებელიც არისო.

ავტონომისტი—სოციალ-დემოკრატი აკ. ჩხენკელი საქართველოს ავტონომია ეკონომიურ სფეროში **საქართველოს საკვდილად მიაჩნდა.****)

ის ავტონომიას მოითხოვდა საქართველოსთვის მხოლოდ შინაურ პოლიტიკურ საკითხების დარგში.

ეს იყო მრწამსი და სიმბოლო სარწმუნოებისა ქართველ მენშევიკებისათვის სულ ახლობელ ხანაში, როცა მათ ჯერ კიდევ არ დაეთავრებინათ წვრილ-ბურჟუაზიული და ბურჟუაზიული თვითგამორკვევა.

როცა ოქტომბრის რევოლუციამ რუსეთის პროლეტარიატს გადასცა მთელი სახელმწიფოებრივი ძალაუფლება, როცა მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის შობა ფაქტი შეიქნა, ქართველი მენშევიკები შეებრძოლნენ პროლეტარულ გადატრიალებას იმით, რომ სომხეთის დაშნაკელებთან, აზერბეიჯანის მუსავატელებთან და მთიელთა თავადებთან ერთად ჩამოცილდნენ რუსეთის მუშებს და გლეხებს და განიზრახეს ამიერ-კავკასიაში გამაგრება—ამიერ-კავკასიის მაშტაბით და არა საქართველოში, ვინაიდან მაშინაც მათ მოწამეს შეედგინდა უპირატესობა მსხვილი პოლიტიკური და ეკონომიური ერთეულისა წვრილ „დამოუკიდებელ" სამშობლოებთან შედარებით.

მაგრამ შინაგანმა წინააღმდეგობამ და ოსმალეთ-გერმანიის შემოტევამ ამიერ-კავკასიის ბურჟუაზიული სახელმწიფო დაანგრია: ოსმალეთის და გერმანიის იმპერიალიზმის ინტერესები მოითხოვდნენ „დამოუკიდებელ" საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის გამოცხადებას მაინც. 1918 წ. მაისის დამლევს აქაც, ამიერ კავკასიის დერეფანშიც, იმპერიალიზმის კარნახით იშვა სამი ვითომდა დამოუკიდებელი რესპუბლიკა: მათი მშობელი იყო წვრილ ერთა დამჩაგვრელი იმპერიალიზმი, მათი თან დაყოლილი თვისება—საბჭოთა ხელისუფლებისადმი სიძულვილი, ხოლო საყვარელი იმპერიალისტურ კავშირისადმი, გერმანული თუ ანტანტის ჯიშისა.

„მირჩევნია დასავლეთის იმპერიალისტები აღმოსავლეთის ფანატიკოსებს" (ე. ი. ბოლშევიკებს)—ეს სიტყვები ნოე ჟორდანიასი მცნებათ აღიარეს ქართველ მენშევიკებმა და კიდეც ატარებდნენ ცხოვრებაში. ერთი დრო კავშირი დასავლეთის იმპერიალისტებთან, მეორე დრო კავშირი ამიერ და ჩრდილოეთ კავკასიის კონტრ-რევოლუციონურ მთავრობებთან გაიხადეს მათ სახელმძღვანელო პოლიტიკურ პრინციპათ. მათი კავშირი სომხეთის დაშნაკურ მთავრობასთან, ნამეტურ კი აზერბეიჯანის მუსავატელებთან ხომ აშკარა ისტორიული ფაქტია, დამოწმებული კონვენციებით, რამიშვილ-ოდიშელიძის დელეგაციის წარგზავნით, და საერთო კონფერენციების მოწვევით. ამ კონვენციების და კონფერენციების საგანი იყო გაერთიანება პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიურიც.

შეთანხმების ზოგი მუხლი განახორციელეს, ზოგი ვერ მოასწრეს საბჭოთა გადატრიალების გამო.

მაგრამ დღეს, როცა ყოფილი მთავრობები შორს გადასროლილი არიან, როცა ისინი დასავლეთის იმპერიალისტების კალთებს ქვეშ თავშეფარებულნი არიან, დღეს კვლავ განაგრძობენ თავის რიგების შეკავშირებას, ერთი მთლიანი ფრონტის შექმნას: 10 ივლისს, ქ. პარიზში საქართველოს, სომხეთის, აზერბეიჯანის და დაღესტანის მთიელთა ყოფილ მთავრობების წარმომადგენლებმა ხელშეკრულება დასდევს მთელი თავისი ძალების და ეკონომიური საშუალებათა გაერთიანების შესახებ. ერთი მთლიანი, პოლიტიკური, სამხედრო და სამეურნეო ფრონტით უტევენ საბჭოთა რესპუბლიკებს. მათ იციან მნიშვნელობა ასეთი მთლიანი ფრონტის, იციან მნიშვნელობა გაერთიანებული სამხედრო ძალისა და მეურნეობის.

მაგრამ უნდა ვიცოდეთ ჩვენც, რომ საბჭოთა რესპუბლიკების ძლიერება მათ ერთობაშია; რომ დაზიანებული მეურნეობის გამოცოცხლება და აყვავება მხოლოდ მსხვილი მეურნეობის ნიადაგზე შესაძლებელი, რომ საქართველოს ეკონომიური წამოწევა დამოკიდებულია არა მარტო მის პოლიტიკურ და სამხედრო ძლიერებაზე, არამედ მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებთან უმჭიდროეს კავშირზედაც.

აი ეს მოსაზრება დაედვა, სხვათა შორის, საფუძვლად ჩვენი უმაღლეს პარტიულ ორგანოს დადგენილებას, რომელიც მიგვითითებს ამიერ-კავკასიის ფედერაციაზე. ხელმძღვანელი ორგანო გვიყენებს ამიერ კავკასიის კომუნისტებს: აი საფრთხე, აი საშუალება მის თავიდან ასაცილებლად და მუშა-გლეხების საბოლოო გამარჯვებლად. თქვენს წინააღმდეგ შესდგა შავი ყვითელი ბლოკი, საფუძველი ჩაუყარა შავ ფედერაციას—დაუპირისპირეთ მას ამიერ კავკასიის მშრომელთა წითელი ფედერაცია, რითაც გაიადვილებთ ბრძოლას, რითაც უზრუნველყოფთ გამარჯვებას პოლიტიკურ და სამეურნეო ფრონტზე.

ჩვენი პარტიის კავბიუროს დირექტივა გვავალებს, უდიდესი ყურადღება მივაქციოთ საფრთხეს და ავწონ-დავწონოთ ყველა საშუალება, რომელთა შორის ფედერაცია ნაჩვენებია როგორც ერთი საუკეთესო და საიმედო საშუალება ძალთა შესამატებლად, მეურნეობის ნიადაგის გამოსაცოცხლებლად და ასაყვავებლად.

---

*) იხ. მისი წიგნაკი: „ეროვნული საკითხი ჩვენში".

**) იხ. მისი წიგნაკი: „ერი და ჩვენ".

ერთმანეთს უღრენენ

ინტერესთა წინააღმდეგობა მსოფლიო ომში გამარჯვებულ კოალიციის შემადგენელ სახელმწიფოთა შორის აშკარა ხდება, მისი მიჩქმალვა და დამალვა ვეღარ ხერხდება ძველებურათ და თუ დავუჯერებთ იმ ცნობებს, რომელსაც გადმოგვცემენ რადიოები, დიპლომატიური კონფლიქტი კერძოთ ინგლისსა და საფრანგეთს შორის იღებს ომის შემდეგ ჯერ კიდევ არ ნახულ სიმწვავეს: როგორც ერთი ისე მეორე მხრიდან ისმის მუქარა. ყველაზე უფრო გარკვეულათ მოდის ეს ხმა დიდი ბრიტანეთის მხრიდან, რომლის ნოტას საფრანგეთის წინააღმდეგ თითქმის ვერც აქვეყნებდნენ მისი ტონის სიმკაცრის გამო. ამ ორი ქვეყნის კავშირი, რომლის სიმტკიცეზე დაიმსხვრა ნაუმანის „შუა ევროპა" და უნდა დამსხვრეულიყო, ზოგიერთების ვარაუდით, თვით აღმოსავლეთ ევროპის საბჭოთა ფედერაციაც, ეს კავშირი აშკარა ღალატის პროცესში მოიცვა და თანდათან იშლება. ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი, რომელმაც ერთთავად გაართულა მდგომარეობა და უფრო [illegible] გამწვავების ფაქტორით შეიქნა ორი ქვეყნის ურთიერთობაში, არის მათი დამოკიდებულება ქემალის ოსმალეთთან. როგორც ცნობილია ცენტრალურ ევროპის სახელმწიფოთა კოალიციის დამარცხება ოსმალეთსაც ძალიან ძვირათ დაუჯდა. საგანს რომ თავისი სახელი ვუწოდოთ, ვიტყვით, რომ გამარჯვებულებმა მას ჯიბე გამოუბრუნეს, დღის სინათლეზე გაძარცვეს, ეს ძარცვა გლეჯა „დააკანონეს", თითქოს ამაზე „თანხმობაც" მიიღეს, ამ „თანხმობას" სევრის ხელშეკრულება უწოდეს. ამ „ხელშეკრულებით" მას წაგლიჯეს სირია, მესოპოტამია, პალესტინა, არაბისტანი, კილიკია, თრაკია. ზოგი თვითონ იჯიბეს, ზოგი თავის დამქაშებს დაურიგეს. აი მიაკეთ-მოაკეთეს საქმე, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო და გამოირკვა, მის ასეთ დაბოლოებას დიდი დღე არ შერჩა. ოსმალეთის მთავრობა, რომელსაც ყელში სწვდნენ და ხელი მოაწერინეს ამ [illegible] აქტს, [illegible] და შერცხვენებული შეიქნა მთელი ხალხის მიერ. ის შეიქნა მოკავშირეების ტყვეთ სტამბოლში. ხალხმა თავის ახალი მთავრობა შექმნა, თავის ძალები შეაკავშირა და დარაზმული მძარცველების წინააღმდეგ გამოვიდა. ამ გამოსვლამ ნადავლი ყელში გაუჩხირა მოკავშირე ავაზაკებს, მარა მათთვის შექმნილი სიძნელე მარტო ამით არ გათავებულა. ნადავლიდან საუკეთესო ადგილები ხელთ იგდო ინგლისმა სან რემოს კონფერენციის შემდეგ. ამას ვერ შეურიგდა „დამწვარი" პარტნიორი. ამას გარდა [illegible] ძარცვა გლეჯაში [illegible] ჯიბე გაჭედებული გამოვიდა საბერძნეთი, რომლის საქმეების საჭე ხელიდან გაუშვა საფრანგეთმა და რომელიც მოექცა ინგლისის გავლენის ქვეშ. ამ ფაქტით საბერძნეთის მმართველი კლასები შეიქნენ დიდ ბრიტანეთის აგენტებათ მცირე აზიაში. ამის გამო ბრძოლა ჰეგემონიისათვის ევროპის კონტინენტზე ორ მხარეთა შორის, გადატანილ შეიქნა ოსმალეთის ყოფილ სამფლობელოებში, და ეს არსებული წინააღმდეგობა კვლავ უფრო გაიზარდა და გამწვავდა. აშკარა შეიქნა საფრანგეთის იმპერიალისტებისათვის, რომ ძალთა ის განწყობილება, რომელიც იყო შედეგი სევრის „ხელშეკრულებისა" საბოლოოთ მიმართული გამოდგა არა მარტო ოსმალეთის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ მხოლოდ, არამედ მათ წინააღმდეგაც. ამიტომაც კითხვა ამ „ხელშეკრულების" გადასინჯვის შესახებ შეიქნა მუდმივი კონფლიქტის წყარო ორ მხარეთა შორის. ამ ატმოსფერაში საფრანგეთის ყოველგვარი დაახლოება ოსმალეთის ნაციონალურ მთავრობასთან უნდა შექმნილიყო დაინტერესებულთა შორის აშკარა მტრულ აქტად და ეს ასეც მოხდა. ვერ მოახერხა რა სევრის „ხელშეკრულების" გადასინჯვა თანხმობით, საფრანგეთი თავის მოკავშირის წინააღმდეგ სეპარატიულ ხელშეკრულებით დაუახლოვდა ანგორის მთავრობას, იცნო ის ერთადერთ მთავრობათ ოსმალეთისთვის და ფაქტიურად დარღვეულად გამოაცხადა „სევრის ხელშეკრულება". ეს მოიმოქმედა იმ საფრანგეთმა, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ოსმალეთზე ავაზაკურ თავდასხმაში და, უკმაყოფილო ნადავლის სიმცირით, ახალი გზით და საშუალებით ცდილობს, დღეს გამოასწოროს „ისტორიული უსამართლობა", რომელიც დაუშვა ინგლისმა ნადავლის „ძმა-ბიძურად" განაწილების დროს. ეს არის სხვა მრავალთა შორის ერთი უმთავრესი მიზეზი საფრანგეთ-ინგლისის დღევანდელი შეხლა შემოხლისა. ამაში ჩვენთვის ახალი არაფერია. ჩვენ თავიდანვე ვიცოდით ეს, თავიდანვე იყო აღნიშნული ჩვენ ლიტერატურაში, რომ ახლო მომავალში მოკავშირეთა შორის ინტერესთა წინააღმდეგობა უნდა გამჟღავნებულიყო და გამოხატულიყო, რაც თავი უნდა ეჩინა და თვით „ჩვეულებადი შეთანხმებაც" ამ წინააღმდეგობათა მსხვერპლი უნდა შექმნილიყო. ინტერესთა ეს წინააღმდეგობა იყო სხვათა შორის ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ომისა და ეკონომიური ბლოკადის რკალით გარშემორტყმული საბჭოთა ქვეყნები გამოვიდნენ დაბოლოს გამარჯვებული, მიუხედავათ მათი სამხედრო და ეკონომიური გაცილებით უფრო სისუსტისა ვინემ იყვნენ ევროპის იმპერიალიზმის ბუმბერაზები. დღესაც, შესვენების გარდამავალ ხანაში, ყოფილ მოკავშირეთა შორის შუღლი და მტრობა არის ერთი მიზეზთაგანი ჩვენი სიძლიერის, საერთაშორისო მდგომარეობის შედარებითი სიმტკიცისა. რასაკვირველია ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოფილ მოკავშირეთა შორის შექმნილი საკონფლიქტო მდგომარეობა საკმაო იყოს ჩვენი საბოლოო გამარჯვების უზრუნველსაყოფათ, რომელიც შეიძლება იყოს შედეგი მხოლოდ საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის და ამ გზით ძალაუფლების დაპყრობის შედეგი, მარა ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ჩვენ შინაურ სიმტკიცესთან ერთად ის შეიქნება ერთ ძლიერ ფაქტორათ მოწინააღმდეგეთა დასუსტების, მაშინადამე შესვენების პერიოდის გახანგრძლივების, რომელიც გამოყენებულ იქნება საერთაშორისო ძალთა [illegible] და [illegible], ახალი ბრძოლისა და გამარჯვებისათვის.

ნ.

კაპიტალიზმის სამეფოებში

ოსმალეთ საბერძნეთის ომი.

ბათუმი, 14 ნოემბ. (ტელეგ.) 7 ნოემბრის რიცხვით ანგორიდან ოფიციალურათ იუწყებიან: ესკი შეხირის მიმართულებით იუზდაგას რაიონში—[illegible], ტყვია მფრქვეველების და ყუმბარის [illegible] სროლაა; აფიონ-კარაჰისარის მიმართულებით ჩვენი [illegible] რაზმი შეეტაკა მტერს; სხვა ფრონტებზე მზვერავთა მოქმედება.

ოფიციალური ცნობა 3 ნოემბრიდან: დასავლეთ ფრონტის ნაწილებზე და ყველა მოწინავე პოზიციაზე მზვერავთა მოქმედებაა. სადგურ [illegible] აღმოსავლეთით ჩვენმა რაზმმა წაართვა მტერს სურსათის მნიშვნელოვანი რაოდენობა, [illegible] მიდგომს გასწვრივ თოფის სროლაა.

საფრანგეთი

სესხი რუსეთს.

პარიზი, 11 ნოემბ. (რადიო). ნანსენმა მადლობა გადაუხადა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ მილერანს 5 მილიონი ფრანკის სესხებისათვის, რომელსაც ხმა მისცა საფრანგეთის პარლამენტმა რუსეთის დამშეულების სასარგებლოთ.

— ჰავასის რეიტერის სააგენტო იტყობინება: დამშეულთა დახმარების ცენტრალურ საბჭოს თავმჯდომარე [illegible] შემდეგი წერილით: გაუწყებთ თქვენ, რომ დამშეულთა დასახმარებლათ საფრანგეთის პალატამ მიიღო დადგენილება 6 მილიონი ფრანკის გადადების შესახებ. ამ თანხიდან 5 მილიონის პროდუქტები იქნება გაგზავნილი და 1 მილიონი კი ფულათ.

ყინული ჩატეხილია.

მოსკოვი, 15 ნოემბერი. (რადიო). ყველაზე უფრო შეურიგებელ პოზიციაზე საბჭოთა რუსეთის მიმართ იდგა საფრანგეთი, რომელიც უარს აცხადებდა რუსეთთან რაიმე მოლაპარაკებაზე. ამ ჟამად მის პოლიტიკაში ისეთი დიდი გადატრიალება, რუსეთის [illegible] საფრანგეთის [illegible], რომ ის მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთთან მისგან ვალების ცნობის შემდეგ. საფრანგეთის გაზეთები [illegible] საფრანგეთის მიერ შეურიგებელი პოლიტიკის უარყოფას.

ინგლისი.

ირლანდიის საკითხი.

ლონდონი. 13 ნოემბერი, (რადიო) ირლანდიის საკითხის გადაწყვეტა ჭიანურდება. ულსტერის მთავრობა აქ-

ამხ. ლენინის სიტყვა

წარმოთქმული პოლიტგანათლების განყოფილებათა სრულიად რუსეთის მეორე ყრილობაზე

(დასასრული *)

ჩვენში ადგილი ჰქონდა არმიიდან დეზერტირობას და იგივეა შრომის ფრონტზედაც; შენ მუშაობდი კაპიტალისტისათვის, მუშაობდი ექსპლოატატორისათვის და ამისათვის გასაგებია, რომ მუშაობდი ცუდათ, მაგრამ ახლა შენ მუშაობ შენთვის, მუშათა და გლეხთა ხელისუფლებისათვის. დაიხსომე, რომ უნდა გადაწყდეს კითხვა, შეგვიძლია თუ არა მუშაობა ჩვენთვის, რადგანაც უამისოდ, ვიმეორებ,—ჩვენი რესპუბლიკა დაიღუპება, და ჩვენ ვლაპარაკობთ, როგორც ვლაპარაკობდით არმიაში, ან უნდა დაიღუპონ ყველა ისინი, ვისაც ჩვენში დაღუპვა უნდოდა და აქ ჩვენ უნდა მოვიხმაროთ დისციპლინის უმკაცრესი ზომები, ან და ჩვენ გადავარჩენთ ქვეყანას და ჩვენი რესპუბლიკაც იცოცხლებს.

აი როგორი უნდა იქნას ჩვენი ხაზი, აი რატომ (სხვათაშორის) გვესაჭიროება ჩვენ ახალი ეკონომიური პოლიტიკა.

იპატრონეთ ყველამ. კაპიტალისტები თქვენს გვერდით იქნებიან,—თქვენს გვერდით იქნებიან საზღვარგარეთელი კაპიტალისტებიც, კონცესიონერები და მოიჯარადრენი, ისინი გამოგტაცებენ თქვენ მოგების ასეულ პროცენტებს, ისინი გამდიდრდებიან თქვენს გვერდით. დე გამდიდრდნენ ისინი, თქვენ კი ისწავლეთ მათთან პატრონობა, და მხოლოდ მაშინ შესძლებთ თქვენ ააშენოთ კომუნისტური რესპუბლიკა. ჩქარა შესწავლის აუცილებლობის თვალთახედვის წერტილით,—ყოველგვარი შესუსტება არის უდიდესი დანაშაული. და ეს მეცნიერება მეტად ძნელი და მკაცრი, ზოგჯერ კიდევაც მრისხანე ჩვენ უნდა შევისწავლოთ, რადგანაც სხვანაირად სხვა გამოსავალი არ არის.

თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ ჩვენი საბჭოთა ქვეყანა, რომელიც გადატანჯულია მრავალწლიან გასაჭირისაგან, გარშემორტყმულია არა სოციალისტური საფრანგეთით და არც სოციალისტური ინგლისით, რომელთაც შეუძლიათ დაგვეხმარონ ჩვენ თავიანთ განვითარებული ტეხნიკით და მაღალი მრეწველობით. არა! ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ამჟამად მთელი მათი მაღალი ტეხნიკა, მთელი მათი მაღალი მრეწველობა ეკუთვნის კაპიტალისტებს, რომლებიც მოქმედობენ ჩვენს წინააღმდეგ. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ან ჩვენ უნდა გვქონდეს ძალთა უდიდესი დაძაბვა ყოველდღიურ შრომაში, ან და ჩვენ აუცილებლათ დავიღუპებით.

მთელი ქვეყანა, არსებულ სიტუაციის გამო, ვითარდება უფრო ჩქარა, ვიდრე ჩვენ. კაპიტალისტური ქვეყანა ვითარდება და ყველა თავის ძალებს მართავს ჩვენს წინააღმდეგ. აი როგორ დგას კითხვა! აი რატომ უნდა მივაქციოთ ამ ბრძოლას განსაკუთრებული ყურადღება. ჩვენს უკულტურო მდგომარეობაში და ჩვენი შეძლების შეტევით ჩვენ ვერ გადავწყვეტთ კაპიტალიზმის დაღუპვის საკითხს. კულტურის სხვა დონეზე კი, შესაძლებელი იქნებოდა კითხვის უფრო სწორად გადაჭრა, და, შეიძლება სხვა ქვეყნები მას ასეთდაც გადაჭრიან, როცა დადგება დრო მათი კომუნისტური რესპუბლიკების აღმაშენებლობისა. მაგრამ ჩვენ პირდაპირი გზით არ შეგვიძლია კითხვის გადაჭრა.

სახელმწიფომ უნდა ისწავლოს ვაჭრობა ისე, რომ მრეწველობამ დააკმაყოფილოს გლეხობა, რომ გლეხობამ ვაჭრობით დააკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებანი. უნდა მოვაწყოთ საქმე ისე, რომ ყველა მშრომელმა მოიხმაროს თავისი ძალები მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს გაძლიერებისათვის. მხოლოდ მაშინ შეიძლება შეიქნას მსხვილი მრეწველობა. საჭიროა, რომ ამ შეგნებით გაიმსჭვალოს მასები და არამც თუ მარტო გაიმსჭვალოს, არამედ ეს შეგნება მათში განამტკიცოს პრაქტიკამ. აი საიდან უნდა გამომდინარეობდეს,—ვლაპარაკობ მე,—მთავარ პოლიტ-განათლების მიზნები. ყოველ დიდ პოლიტიკურ გადატრიალების შემდეგ ხალხს ესაჭიროება დიდი დრო იმისათვის, რომ ეს გადატრიალება შეითვისოს. და აი აქ დგას კითხვა,—შეგნო თუ არა ხალხმა ის გაკვეთილები, რომლებიც მათ ჰქონდათ მიცემული. დიდათ სამწუხაროთ, ამ კითხვაზე შეიძლება ვუპასუხოთ, რომ არა. ეს რომ ასე ყოფილიყო, ჩვენ მაშინ გაცილებით უფრო ჩქარა, გაცილებით უფრო მოკლე გზით მივიდოდით მსხვილ მრეწველობის შექმნამდის.

ქვეყანაზე უდიდეს პოლიტიკურ გადატრიალების ამოცანის გადაწყვეტის შემდეგ ჩვენს წინ აღიმართებ სხვა ამოცანები—ამოცანები კულტურული, რომელთაც შეიძლება ვუწოდოთ „პაწაწინა საქმეები". ეს პოლიტიკური გადატრიალება უნდა გადავხარშოთ და გადავამუშაოთ, შევქმნათ ის მდგომარეობა ფართო მასებისათვის გასაგებათ, ვეცადოთ, რომ ეს პოლიტიკური გადატრიალება არ დარჩეს მარტო დეკლარაციათ, თავის დროზე საჭირო იყო ეს დეკლარაციები, განცხადებები, მანიფესტები და დეკრეტები. ეს ჩვენ საკმარისად გვქონდა. თავის დროზე ასეთი რამეები აუცილებელი იყვნენ იმისათვის, რომ ხალხისათვის გვეჩვენებინა, თუ რა და როგორ გვინდოდა აგვეშენებინა, როგორია ახალი და ჯერ კიდევ უხილავი მდგომარეობა, მაგრამ შეიძლება ჩვენ არა შემდგომ ამისა განვაგრძოთ ხალხისათვის იმის ჩვენება, თუ რის აშენება გვინდა ჩვენ? არ შეიძლება! ამ შემთხვევაში ყველაზე უბრალო მუშა დაგვცინებს ჩვენ. ის გვეტყვის: „რომ გორ ყველაფერს გვიჩვენებ, რის და როგორ გინდა აშენება, შენ გვაჩვენე საქმეზე,—როგორ იცი ეს შენება, თუ არ იცი, ჩვენ საერთო გზა არა გვაქვს, ჩაიშორე თავი!" და ის მართალი იქნება. დრო, როდესაც საჭირო იყო პოლიტიკურათ გვეხატნა დიდი მიზნები და ამოცანები, უკვე გავიდა და დადგა ჟამი, როცა მათი პრაქტიკული გატარებაა საჭირო. ახლა ჩვენს წინაშეა კულტურული ამოცანები, ამოცანები იმ პოლიტიკურ ცდების გადამუშავებისა, რომელნიც უნდა და შეიძლება კიდევაც გატარებულ იქნან ცხოვრებაში. ან დაღუპვა საბჭოთა ხელისუფლების ყველა პოლიტიკურ მონაპოვართა, ან და მათთვის ეკონომიური საფუძვლის მონახვა. ეს არა გვაქვს ამ ჟამად. სახელდობრ ამას უნდა მოვკიდოთ ხელი.

კულტურის წევისა და აღორძინების ამოცანა—ერთი მორიგთაგანი და მთავარი ამოცანაა. და ეს ამოცანაა პოლიტ განათლების, თუ ის შესძლებს ემსახუროს „პოლიტიკურ განათლებას" როგორი დანიშნულებაც მან აიჩინა თავისათვის. სახელწოდების მიკუთვნება ძნელი საქმე არ არის, მაგრამ აი როგორ მდგომარეობს შესრულების საქმე? იმედი გვქონდეს, რომ ამ ყრილობის შემდეგ ჩვენ მივიღებთ სწორე და სრულ ცნობებს ამის შესახებ. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კომისია ჩვენში შექმნილია 19 ივლისს 1920 წლისა. მე განზრახ, ყრილობაზე მოსვლამდე, წავიკითხე სათანადო დეკრეტი: წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სრულიად რუსეთის კომისია... ამბობდა—წერა კითხვის უცოდინარობის საგანგებო კომისია. იმედი მქონდა, რომ ამ ყრილობის შემდეგ ჩვენ მივიღებთ ცნობებს, თუ რამდენ გუბერნიაში და რამდენი არის ამ მხრივ გაკეთებული და მივიღებთ სწორ ანგარიშს. მაგრამ უკვე ის გარემოება, რომ საჭირო შეიქნა შეგვექმნა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საგანგებო კომისია ამტკიცებს, რომ ჩვენ ვართ (როგორ გამოვთქვა ეს უფრო რბილად) ასე ვთქვათ, ნახევრათ ველური ხალხი იმიტომ, რომ იმ ქვეყანაში, სადაც არა ნახევრათ ველური ხალხია, იქ სირცხვილი იქნებოდა წერა-კითხვის უცოდინარობის საგანგებო სალიკვიდაციო კომისიის შექმნა—იქ, წერა-კითხვის ლიკვიდაცია სკოლებში ხდება. იქ არის ტიპიური და შესაფერებელი სკოლები და მათში ასწავლიან. რას? ასწავლიან წერა-კითხვას პირველ რიგში. მაგრამ თუ ეს ელემენტარული ამოცანა საჭირო არაა, იმ შემთხვევაში სასაცილოა ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე ლაპარაკი.

როგორი ახალი პოლიტიკაა აქ? ღმერთმა გვიშველოს, რომ როგორმე შევინარჩუნოთ ძველი, თუ ჩვენ ჯერ კიდევ საგანგებო ზომებით გვიხდება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. ეს კი ფრიად ნათელია. მაგრამ ჩვენ კიდევ უფრო თვალსაჩინო სასწაულები მოგვახდინეთ სამხედრო და სხვა დარგებში. ამ სასწაულებთა შორის, მე ვფიქრობ, ყველაზე უფრო დიდი სასწაული იქნება ის, რომ თვით ამ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კომისიის ლიკვიდაციას შევძლებთ ბოლომდე და რომ აღარ აღიძრას ისეთი პროექტები, როგორსაც მე მოვისმენ აქ სახალხო განათლების კომისარიატისაგან გამოყოფის შესახებ.

თუ ეს ასეა, თუ თქვენ ამას კარგათ დაუკვირდებით და გაიგებთ, მაშინ დამეთანხმებით, რომ საჭირო ყოფილა შეგვექმნა ზოგიერთ ცუდ პროექტების საგანგებო სალიკვიდაციო კომისია. ეს ცოტაა: საკმარისი არაა წერა-კითხვის ლიკვიდაცია, საჭიროა კიდევ საბჭოთა მეურნეობის შენება და ამასთან მარტო წერა-კითხვის ცოდნით შორს ვერ წავალთ. ჩვენ გვესაჭიროება კულტურის უდიდესი ამაღლება. საჭიროა რომ კაცი ნამდვილათ სარგებლობდეს წერა-კითხვის ცოდნით, რომ მას ჰქონდეს თუ რა წაიკითხოს, რომ მას ჰქონდეს გაზეთები და საპროპაგანდო ბროშურები, რომ ისინი სწორათ ნაწილდებოდნენ და მიდიოდნენ ხალხამდის, რომ ისინი არ იკარგებოდნენ გზაში ისე, რომ მათ კითხულობენ არა ნახევარზე მეტი და რამდენიც ხმარობენ კანცელარიებში, ხალხამდის კი, შესაძლებელია, ერთი მეოთხედიც არ მიდის. უნდა ვისწავლოთ სარგებლობა იმ ცოტა მარაგით, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება.

აი რატომ, ახალი ეკონომიური პოლიტიკასთან დაკავშირებით, საჭიროა დაჟინებით გავატაროთ ის აზრი, რომ პოლიტიკური განათლება თხოულობს კულტურის ამაღლებას, როგორც არ უნდა იყოს ის. უნდა როგორმე მივაღწიოთ, რომ წერა-კითხვის ცოდნა ემსახურებოდეს კულტურის ამაღლებას, რომ გლეხს მიეცეს შესაძლებლობა გამოიყენოს ეს წერა-კითხვის ცოდნა თავისი მეურნეობისა და თავისივე სახელმწიფოს გასაუმჯობესებლათ.

საბჭოთა კანონები ძლიერ კარგი არიან იმიტომ, რომ ისინი აძლევენ ყველას შესაძლებლობას ბიუროკრატიზმისა და კანცელიარიულ გაჭიანურების წინააღმდეგ საბრძოლველად, იმ შესაძლებლობას, რომელსაც არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოში არ აძლევენ მუშებსა და გლეხებს. შემდეგ რა—სარგებლობენ კი ამ შესაძლებლობით? თითქმის არავინ! და არა მარტო გლეხი, არამედ კომუნისტების უდიდეს პროცენტმა არ იცის საბჭოთა კანონებით სარგებლობა კანცელიარიულ გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, ან და [illegible] ისეთ რუსულ მოვლენის წინააღმდეგ, როგორიცაა მექრთამეობა. რა უშლის ხელს ამ მოვლენისადმი ბრძოლას? ჩვენი კანონები? ჩვენი პროპაგანდა? პირიქით! კანონები დაწერილია რამდენიც გნებავთ! რატომ არაა წარმატებული შედეგები ამ ბრძოლაში? იმიტომ, რომ არ შეიძლება მისი შექმნა მხოლოდ ერთადერთ პროპაგანდით, არამედ შესაძლებელია მისი დასრულება მაშინ, თუ კი ხალხური მასა თვითონვე ეხმარება. ჩვენმა კომუნისტებმა, არა ნაკლებ ნახევარისა, არ იციან ბრძოლა, არ ვლაპარაკობ რა ისეთებზე, რომლებიც კიდევაც ხელს უშლიან ბრძოლას. მართალია, თქვენში 99 პროცენტი კომუნისტებია, და თქვენვე იცით, რომ ამ უკანასკნელებზე ჩვენ ამ ჟამად ვაწარმოებთ ოპერაციებს, რომლებზედაც მუშაობენ პარტიის გამწმენდავი კომისია და არის იმედები, რომ ეს ასი ათასს ჩვენი პარტიიდან გავაძევებთ. ზოგიერთები ლაპარაკობენ, რომ ორასი ათასიო, და ეს უკანასკნელნი მე უფრო მეტად მომწონან.

მე ძლიერ ვიმედოვნებ, რომ ჩვენ გავრიცხავთ ჩვენი პარტიიდან 100-დან 200 ათასამდე კომუნისტს, რომლებიც მოეწყვნენ პარტიას და რომლებმაც არამც თუ იციან ბიუროკრატიზმისა და მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლა, არამედ ხელს გვიშლიან მათთან ბრძოლაში. ის, რომ ჩვენ ასსა და ათასებს ჩვენი პარტიიდან გავაძევებთ, ეს ჩვენთვის სასარგებლო იქნება, მაგრამ ეს უმნიშვნელო ნაწილია იმისა, რის გაკეთებაც ჩვენთვის საჭიროა. საჭიროა, რომ პოლიტ განათლებათა განყოფილებებმა ყველა თავიანთი მუშაობა ამ მიზნისათვის გამოიყენონ. წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა საჭიროა, მაგრამ არც მარტო წერა-კითხვის ცოდნა არის საკმარისი და საჭიროა ის კულტურა, რომელიც გვასწავლის ბიუროკრატიზმთან და მექრთამეობასთან ბრძოლას.

არიან რა პოლიტიკურად უფრო განათლებულნი, ვიდრე სხვები, იციან არამც თუ მარტო გინება ყოველგვარ ბიუროკრატობისათვის, ეს ჩვენში ფართოდ არის გავრცელებული,—არამედ ჩვენებაც იმისა, თუ როგორ მარცხდება ეს ბოროტება საქმეზე. ეს—ძლიერ ძნელი ხელოვნებაა, რომლის ახსნა, უმისოდ, თუ საერთო კულტურა არ წამოდგება, უმისოთ, თუ მუშათა და გლეხთა მასები უფრო კულტურული არ შეიქნება, ვიდრე ჩვენი ახლანდელნი არიან, არ შეიძლება! და სწორედ მთავარ პოლიტ-განათლების ამ ამოცანაზე მე მინდოდა მიმექცია ყველაზე მეტი ყურადღება.

ყველაფერ იმას, რაც მე ვთქვი, მე მინდა დასკვნა გავუკეთო და პრაქტიკული ჯამი გამოვუყვანო ყველა ამოცანებს, რომელნიც დგანან საგუბერნიო პოლიტ-განათლებების წინაშე.

ჩემი შეხედულებით, არის სამი მთავარი მტერი, რომელიც დგას ამ ჟამად ადამიანის წინაშე, ესენი არიან: პირველი მტერი—ეს კომუნისტური ყოყოჩობა, მეორე—წერა კითხვის უცოდინარობა და მესამე—მექრთამეობა.

კომუნისტური ყოყოჩობა—ეს ნიშნავს მას, რომ იმ კაცს, რომელიც იმყოფება კომუნისტური პარტიის წევრად და ჯერ კიდევ იქიდან არ გამორიცხულა, წარმოუდგენია, რომ ყველა თავისი ამოცანები მას შეუძლია გადასწყვიტოს კომუნისტური დეკრეტებით. სანამ ის ირიცხება მმართველ პარტიის წევრად და სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში, მას წარმოუდგენია, რომ ეს მას აძლევს შესაძლებლობას ილაპარაკოს პოლიტიკურ განათლების შედეგებზე. ნურას უკაცრავად! ეს მხოლოდ კომუნისტური თავმომწონეობაა. შესწავლო, პოლიტიკურათ გაანათლო—აი, რაშია საქმე, ჩვენ კი ეს ვერ ვისწავლეთ, და ამისაკენ ჩვენ სწორი მისავალი არა გვაქვს.

მეორე მტერი—წერა-კითხვის უცოდინარობის შესახებ, მე შემიძლია ვთქვა, რომ სანამ ჩვენს ქვეყანაში ჩვენ გვაქვს ასეთი მოვლენა, როგორიცაა წერა-კითხვის უცოდინარობა, პოლიტიკურ განათლებაზე ზედმიწევნით ძნელია ლაპარაკი. ეს არ არის პოლიტიკური ამოცანა, ეს არის პირობა, უომლისოდაც პოლიტიკაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. წერა-კითხვის უცოდინარი კაცი პოლიტიკის გარეშე დგას, მას ჯერ ანბანი უნდა შეასწავლო. უამისოდ არ შეიძლება პოლიტიკა, უამისოთ არის მხოლოდ ხმები, ჭორები, ზღაპრები, ცრურწმუნოება და არა პოლიტიკა. ბოლოს, თუ არის ისეთი მოვლენა, როგორიცაა მექრთამეობა, თუ ეს შესაძლებელია, აღარ არის პოლიტიკაზე ლაპარაკი. აქ ჯერ პოლიტიკის შესავალიც არ არის, აქ არ შეიძლება პოლიტიკის წარმოება, იმიტომ, რომ ყველა ზომები იქნებიან ჰაერში გამოკიდული და არავითარ გადაწყვეტილ შედეგებამდე არ მიგვიყვანენ. უარესი იქნება კანონიდან, თუ პრაქტიკულად ის გამოიყენება ქრთამის დაშვების შესაძლებლობისა და გავრცელების პირობებში.

ეს—ისეთი ავადმყოფობაა, რომლისაგან განკურნება, არც ერთ სამხედრო გამარჯვებით და არც ერთ პოლიტიკურ გარდაქმნით არ შეიძლება. არსებითად ამ ავადმყოფობისაგან განთავისუფლება არ შეიძლება სამხედრო გამარჯვებით და არც პოლიტიკური გარდაქმნით, არამედ შესაძლებელია მხოლოდ და ერთადერთ კულტურის აღდგენით. და ეს ამოცანა მთლიანად აწევს განსაკუთრებულად პოლიტ განათლებათა განყოფილებებს.

საჭიროა, რომ პოლიტ-განათლების თანამშრომელთ ესმოდეთ თავიანთი ამოცანები არა ბიუროკრატიულად, როგორც ხშირად შეიძლება, როცა ლაპარაკობენ იმაზე, რომ შესაძლებელია თუ არა საგუბერნიო პოლიტ განათლების განყოფილების წარმომადგენელი შეიყვანონ საგუბერნიო ეკონომიურ საბჭოში. მაპატიეთ—თქვენი შეყვანა არსად არ არის საჭირო, არამედ საჭიროა, რომ თქვენი ამოცანები გადაჭრათ ისე, როგორც უბრალო მოქალაქეებმა, როდესაც თქვენ შედიხართ დაწესებულებაში, თქვენ ბიუროკრატიულდებით, თუ კი თქვენ საქმე გექნებათ ხალხთან და პოლიტიკურად მას გაანათლებთ, გამოცდილება თქვენ გეტყვით, რომ პოლიტიკურად განათლებულ ხალხთან ქრთამი არ არის და ჩვენში კი—ყოველ ნაბიჯზე ხვდებით. თქვენ გკითხავენ, როგორ ვქნათ, რომ არ იყოს მექრთამეობა, რომ აღმასრულებელ კომიტეტში ამან-და-ამან ქრთამი არ აიღოს, გვასწავლეთ, თუ როგორ მივაღწიოთ ამას. და თუ პოლიტ განათლების თანამშრომელნი იტყვიან: „ეს ჩვენს უწყებაში არ შედის", „ჩვენ გამოცემული გვაქვს ამის გამო ბროშურები და პროკლამაციები", ხალხი ჩვენ გვეტყვის: „ცუდი პარტიის წევრები ხართ თქვენ: ეს, მართალია, არა თქვენს უწყებაში შედის, მაგრამ ამისათვის არის მუშათა და გლეხთა ინსპექცია, მაგრამ თქვენ ხომ პარტიის წევრები ხართ". თქვენ აიღეთ თქვენზე პოლიტიკურ განათლების სახელწოდება. როცა თქვენ ასეთ სახელწოდებას ღებულობდით, თქვენ გაფრთხილებდენ: ძლიერ ნუ გაფართოვდებით სახელწოდებაში, არამედ აიღეთ სახელწოდება უფრო უბრალო, მაგრამ თქვენ მოისურვეთ, აგეღოთ პოლიტიკურ განმანათლებელთა სახელწოდება, ამ სახელწოდებაში კი—დიდი შინაარსია. თქვენ ხომ არ უწოდეთ თქვენს თავს ხალხი, რომელსაც ანბანი უნდა ესწავლებინა ხალხისათვის, არამედ თქვენ აიღეთ პოლიტიკურ განათლების სახელწოდება. თქვენ შეუძლიათ გითხრან: „ძლიერ კარგი, რომ თქვენ ასწავლით ხალხს წერას, კითხვას, ეკონომიურ კამპანიის გატარებას, ეს ყველაფერი ძლიერ კარგია, მაგრამ ეს არ არის პოლიტიკური განათლება, იმიტომ, რომ პოლიტიკური განათლება ნიშნავს ყველაფრისათვის ჯამის გაკეთებას", პროპაგანდას, წინააღმდეგ ბარბაროსობისა და ისეთი ავადმყოფობისა, როგორიცაა მექრთამეობა, ჩვენ ვაწარმოებთ და იმედი მაქვს, თქვენც აწარმოებთ, მაგრამ პოლიტიკური განათლება არ ამოიწურება ამ პროპაგანდით, ის ნიშნავს პრაქტიკულ შედეგებს, ეს ნიშნავს ასწავლო ხალხს, თუ როგორ მიაღწიონ ამას და აჩვენო სხვებს არა ისეთი მაგალითები, როგორიც არიან აღმასრულებელი კომიტეტის წევრები, არამედ ჩვეულებრივი მოქალაქეების მაგალითი, რომლებიც ასეთ პირობებში არავითარ პოლიტიკის წარმოება არ არის შესაძლებელი, აქ არ არის ძირითადი პირობა იმისათვის, რომ პოლიტიკას ხელი მოჰკიდო. რომ შესაძლებელი იყოს ხალხის წინაშე გავშალოთ ჩვენი პოლიტიკური ამოცანები, რომ შესაძლებელი იყოს ვაჩვენოთ ხალხურ მასას: „აი როგორ მიზნებს უნდა მივესწრაფოდეთ ჩვენ" (ეს კი ჩვენ უნდა გვექნა), უნდა გავიგოთ, რომ აქ საჭიროა მასის კულტურული დონის ამაღლება. და უნდა ვეცადოთ, რათა ვიშოვოთ ეს განსაზღვრული კულტურული დონე. უმისოდ ჩვენი მიზნების საქმეზე განხორციელება შეუძლებელია.

კულტურული მიზანი არ შეიძლება მიღწეულ იქნას ისე ჩქარა, როგორც პოლიტიკური და სამხედრო მიზნები. უნდა შევიგნოთ, რომ წინისაკენ [illegible] პირობები ამ ჟამად ისეთნი აღარ არიან. პოლიტიკურათ გამარჯვება შეიძლება რამოდენიმე კვირაში კრიზისის გამწვავების ეპოქაში. ომში გამარჯვება შეიძლება რამოდენიმე თვეში, კულტურაში გამარჯვება კი ამ ვადაში არ შეიძლება, არსებითად აქ საჭიროა უფრო გრძელი ვადა და საჭიროა ამ უფრო გრძელ ვადისადმი შეგუება, როცა საჭიროა თავისი მუშაობის განაწილება და უდიდესი [illegible], მუყაითობისა და სისტემატიურობის გამოჩენა. ამ თვისებათა გარეშე კი,—პოლიტიკურ განათლების მუშაობისადმი შედგომაც შეუძლებელია. პოლიტიკური განათლების შედეგები კი შეიძლება განიზომონ მეურნეობის გაუმჯობესებით. არამც თუ მარტო საჭიროა, რომ ჩვენ მოვსპოთ წერა-კითხვის უცოდინარობა, რომ მოვსპოთ ქრთამი, რომელიც გამაგრებულია წერა-კითხვის უცოდინარობის ნიადაგზე, არამედ საჭიროა ისიც, რომ ჩვენი პროპაგანდა, ჩვენი ხელმძღვანელობა და ჩვენი ბროშურები შეთვისებულნი იქნან ხალხის მიერ საქმეზე და რომ ამის შედეგათ მივიღოთ სახალხო მეურნეობის გაუმჯობესება.

აი როგორია პოლიტ-განათლების ამოცანები ჩვენი ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით და მე [illegible] გამოვთქვამ იმედს, რომ ჩვენი ყრილობის მეოხებით, ჩვენ მივაღწევთ დიდსა და წარჩინებულ შედეგებს.

---

*) იხ. „კომუნისტი" №№ 209 და 210.

აჭარისტანის „ფუხარა გლეხთა" ყრილობა

(შთაბეჭდილებანი)

7 ნოემბერი, აჭარის ფუხარა ხალხთა პირველი ყრილობის დღე, სამუდამოთ აღიბეჭდება იმათ მახსოვრობაში, ვისაც ბედი და საშუალება ჰქონდა დასწრებოდა ამ კრებას.

შესამე საბჭოთა თეატრის დარბაზში, სადაც წინედ მესვეურნი ამა ქვეყნისა განცხრომის წუთებს ატარებდნენ, კიდევ ერთხელ გაისმა ჰიმნი ინტერნაციონალისა არა როგორც ჰარმონია წარსული ან აწმყო გამარჯვებისა, არამედ შარავანდედით შემოსილ მომავლისა და სიმვოლი მშრომელთა გამარჯვებისა.

ეს არ იყო პარნასის ჰიმნი, არ იყო ჩვეულებრივი სიმხიარულე და სიხარული; ეს აჭარის ფუხარა ხალხის პირველი ზეიმი იყო, პირველი გამარჯვება, პირველი [illegible], როდესაც მან ნათლად გაიგო და შეიგრძნო პროლეტარული ლაშქრის ხელმძღვანელის სიტყვები: „თუ ეს დარბაზი ჩვენი არ იქნება, მას ცეცხლს მივცემთ და ნანგრევებად გადავაქცევთ". და ახლა მართალი იყვნენ ამხ. ჟღენტი და ლამბარაშვილი, როდესაც სწორედ ამ გარემოებას მიაქციეს ყურადღება.

ოქტომბრის რევოლუციის მომაჯადოებელი ძალა თითქოს ჯადოსნური სიძლიერით შეიჭრა დეპუტატთა სხეულში და ერთხელ კიდევ აგრძნობინა ყველას, თუ რას ნიშნავს მისი იდეების პრაქტიკულად განხორციელება. ამას ხელს უწყობდა სინთეზი ოქტომბრის რევოლუციის დღის დღესასწაულისა და მშრომელთა ყრილობისა.

კრებას თავიდან ერთსულოვნება ეტყობოდა და ის ერთი წუთითაც არ დარღვეულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ ახალგაზრდის სიტყვას ქართველობის შესახებ, რომელსაც ამხ. ლამბარაშვილმა სათანადო პასუხი გასცა: „თქვენ გითხრეს აქ, რომ თქვენ ქართველები ხართ და მაშასადამე ქართულად უნდა ილაპარაკოთ, მშობლიური ენა არ უნდა დაივიწყოთო. მე გეუბნებით, ამხანაგებო, რომ ჩვენთვის სულ ერთია თქვენ ვინ იქნებით—ქართველი თუ თურქი. ჩვენ გვაინტერესებს არა ის, თუ ვინ ხართ თქვენ, ან ეროვნებას ეკუთვნით, არამედ რა ხართ. ჩვენ გვინდა ფუხარა, იქნება ის ქართველი თუ სხვა. თქვენ გყავთ ბეგები, რომელთაგან ზოგიერთი ქართველებისაკენ მიგიწვევთ, ხოლო ზოგიერთი ოსმალეთისაკენ. აი ამაზე მიგითითებთ ჩვენ და გეუბნებით: ნუ განდევთ ნურც ერთ ბეგს, დაიჭირეთ ის და სულ ერთია თქვენ ქართულად ილაპარაკებთ თუ თურქულად, ეს თქვენი ნებაა და ამაში ვერავინ შეგედავება"—გულახდილად ამბობდა ამხ. ლამბარაშვილი.

და კრებაც მას გულ დასმით უსმენდა, სიტყვების აზრით იმსჭვალებოდა.

ასე დაიწყო მან მუშაობა თავიდან და ასე ჩაატარა ბოლომდის.

(პირველი დღე)

კრება გაიხსნა საღამოს სრულ 7 საათზე აჭარის ფუხარა ხალხის კომიტეტის თავმჯდომარის სიტყვით, რომელსაც შემდეგ პირველი მისასალმებელი სიტყვა აჭარის რევკომის სახელით წარმოსთქვა ამხ. ლამბარაშვილმა. მან განაცხადა, რომ აჭარის რევკომი ყოველივე ზომებს ღებულობს სისრულეში მოიყვანოს მისი დეკლარაცია და ამიტომ სთხოვს ყრილობას ფართო დახმარება აღმოუჩინოს ამ საქმეში. აქ გადასაწყვეტია მიწის საკითხი—სთქვა მან—და თქვენ მკაფიოთ უნდა გამოსთქვათ თქვენი აზრი და არავისი არ უნდა შეუშინდეთ. მიწა უნდა მიეცეს მას, ვინც ამუშავებს და თქვენ ეს უნდა დაადასტუროთ, რადგან ამით წყდება ფუხარა ხალხის ბედი. არის აგრეთვე სხვა საკითხი, რომლის გადაჭრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მე ეხლა შემოვიარე ოლქი და დავინახე საშინელი სისაძაგლე, საშინელი სირცხვილი. თქვენთან კიდევ არის დარჩენილი ძველი ბატონ-ყმური ნაშთები. ყოველივე ეს ძირიანად უნდა ამოიფხვრას და დაინგრას. დასასრულ მან კრებას უსურვა ნაყოფიერი მუშაობა და [illegible] პრეზიდიუმის არჩევა.

შემდეგ კრებამ აირჩია პრეზიდიუმი. თავმჯდომარეთ ერთხმად [illegible] ხიმშიაშვილი და წევრებად ზაქარია ლორთქიფანიძე, ისკანდერ ეფენდი ცივაძე და შერიფ ბეგი ზაია.

ვრცელ სიტყვაში თავმჯდომარემ განუმარტა ყრილობას ამ დღის უდიდესი მნიშვნელობა და ის ისტორია, რომელმაც აჭარის მშრომელი ხალხი მიიყვანა ამ დღემდის. ოქტომბრის რევოლუციამ—სთქვა მან—მიგვიყვანა ამ დიად ისტორიულ დღემდის და საბჭოთა რუსეთმა წითელი არმიის საშუალებით განათავისუფლა აჭარის ფუხარა ძალდატანებისაგან და [illegible] ბატონობისაგან. საბჭოთა საქართველო პირველი მერცხალია, რომელიც მოევლინა განთავისუფლებულ აჭარას. ჩვენ აქ გადავჭრით დიდ და რთულ საკითხებს და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ამხანაგები, რომლებმაც თავისუფლება გვარგუნეს, ეხლაც და ყოველთვის ჩვენთან იქნებიან და დახმარებას გაგვიწევენ. სალამი და გამარჯვება მათ ბრძოლას და მუშაობას."

შემდეგ კრებამ მოისმინა კომუნისტურ პარტიის სამუსულმანო სექციის, აზერბეიჯანის და თათართა რესპუბლიკის კომუნისტურ პარტიის მისალმებანი.

კომპარტიის ბათომის საოლქო კომიტეტის სახელით ყრილობას ესალმება ამხ. თენგიზ ჟღენტი, რომლის გამოსვლას, კრება ტაშისცემით ეგებება. მან ხაზი გაუსვა ძველ, ისტორიულ პერიოდებს, პარალელი გაატარა ძველად და ახლად არსებული ურთიერთობათა შორის და იმედი გამოსთქვა, რომ ეს კავშირი, რომლის აქტით დაგვირგვინდება სრული ყოფა თავისუფალ აჭარისა—იქნება მუდმივი და განუყოფელი.

კავკასიის განსაკუთრებულ არმიის წარმომადგენლის ამხ. რემეზოვის, საბჭოთა რუსეთის კონსულის და ამხ. ლამბარაშვილის დასასრულ სიტყვის შემდეგ, რომლითაც მან პასუხი გასცა წინეთ მოლაპარაკე ამხ. ლაზარიძეს—კრება დაიხურა შემდეგ დღისათვის.

(მეორე დღე).

8 ნოემბერს კრება იხსნება შუადღის 12 საათზე ამხ. თაქიმ ხიმშიაშვილის თავმჯდომარეობით. ამხ. ლამბარაშვილი კრებას უხსნის სამანდატო კომისიის მნიშვნელობას და მოუწოდებს მის არჩევნებისათვის. კომისიის ამორჩევის შემდეგ ამხ. ლამბარაშვილი აკეთებს ვრცელ მოხსენებას აჭარის ავტონომიის შესახებ. ის დაწვრილებით ეხება ძველი რუსეთის მუშაობას, რევოლუციის ხანას და განსაკუთრებით ოქტომბრის გადატრიალებას, რომელმაც პირველად წამოაყენა არსებითად ჩაგრულ და პატარა ერთა განთავისუფლება და პრაქტიკულად გადაჭრა კიდეც. რუსეთის წითელი არმია მოადგა კავკასიონის ქედებს და ყველა ჩაგრული ერები იხსნა გაუვლეფისაგან და განადგურებისაგან. ასე იყო საქართველოშიაც და ცხადია, რომ საქართველოს მშრომელ ხალხს, რომელმაც ხელში ჩაიგდო სახელმწიფო ძალაუფლება, არ შეეძლო აჭარის ფუხარა ხალხისათვის არ მიეცა ის თავისუფლება, რომლისათვის ის იბრძოდა და უამრავ მსხვერპლს სწირავდა. აჭარაში სულ სხვა ჩვეულებებია, სულ სხვა ადათებია და ჩვენ სრულ საშუალებას გაძლევთ ავტონომიის მოცემით, იცხოვროთ თქვენი საკუთარი ადათებით, ილაპარაკოთ რომელ ენაზეც გსურთ და ირწმუნოთ რა სარწმუნოებაც უფრო მოითხოვს თქვენი გული და არსება. ეს თქვენი ნებაა და ამაში ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ყოველთვის დახმარებას გაგიწევთ, თვით აჭარის ფუხარა ხალხზედ დამოკიდებულია ახლა საკუთარი ბედი და ვიმედოვნებთ, რომ ის საუკუნით შესძლებს თავის უფლებების დაცვას და მომავლის განმტკიცებას.

ამხანაგი ხუსეინ ეფენდი ამბობს: „აქ დღეს სთქვეს დიდებული სიტყვები, რომლებმაც აამოძრავეს ჩვენი სული, გული, ნიჭი, გრძნობა და მთელი არსება. ასეთი სიტყვები, რომლებიც გულწრფელობით იყვნენ სავსე—ჩვენ დიდი ხანია არ გვსმენია. ჩვენ მუდამ წვალებული ვყავდით და დღეს ვითხოვთ ნდობას, რადგან პირნათლად შევასრულებთ ჩვენს საქმეს და დაუმტკიცებთ ყველას, რომ ჩვენ შეგვიძლია მათი გამართლება.

ამხანაგი დაუდ ეფენდი დიასამიძე ამბობს, რომ აჭარის ფუხარა ხალხმა დიდი გაჭირვება და დევნა გამოიარა. ჩვენ გვპირდებოდნენ ავტონომიას, გვპირდებოდნენ, რომ გაგვათავისუფლებდნენ, მაგრამ ყველამ მოგვატყუა. დღეს ჩვენ თავისუფალი ვართ, მაგრამ არ გვესმის ავტონომიის შინაარსი. სახლიდან დაგვიბარეს: კარგად გაიგე რა არის ავტონომია, საჭმელია თუ სასმელია. ეს იმიტომ, რომ ჯერ კარგად არ გვაქვს შეთვისებული ის, რაც ხდება. ჩვენ გვესმის ყველაფერი, ვხედავთ ძმურ დამოკიდებულებას ჩვენთან და ვფიქრობთ, რომ მართლადაც დღეს იქნება ჩვენი ნამდვილი, თავისუფალი ცხოვრება.

ამხანაგი შაი-ალა ბოლქვაძე დიდათ საინტერესოთ მიიჩნია ავტონომიის და თხოულობს გაიგოს მთელი ის შემოსავალი გასავალი, რომელიც ექნება ავტონომიურ აჭარას. ის ამბობს: ჩვენ უნდა ავირჩიოთ მოსამართლეები, მოვიწყოთ ჯანმრთელობის საქმე, გავიყვანოთ გზები და სხვ; ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ შესძლებთ თუ არა გასავლის დაფარვას?

უკანასკნელად ლაპარაკობს ამხანაგი მემედ ალი დიასამიძე, რომელიც გულდასმით განუმარტავს კრებას ავტონომიის წარმოშობას. ასეთი წითელი დროშები—ამბობს ის—ჩვენ ბევრჯელ გვინახავს, მაგრამ მათ ცვლილებები არ შეუტანიათ ჩვენს ცხოვრებაში. დღეს კი სულ სხვას ვხედავთ და ეს იმიტომ, რომ ამ დროშებზე აგრეთვე დახატულია ჩაქუჩი და ნამგალი, რომლებიც გამოხატავენ ჭეშმარიტ მუშის და ფუხარა ხალხის ბრძოლას. ამ დროშებმა ჩვენ მოგვცა თავისუფლება, მოგვცა ავტონომია და ძმური ცხოვრების საშვალება. ეს მოგვცა რუსეთის ოქტომბრის რევოლუციამ, ეს მოგვცა სოციალისტებმა, რომელთაც შეუძლიათ ქვეყნების ხსნა. სალამი და გამარჯვება მათ მუშაობას, რომელიც ამტკიცებს და ამახლოვებს სოციალიზმს.

მოხსენების უკანასკნელ სიტყვის შემდეგ, რომელშიც მან საბოლოოდ განმარტა ავტონომიის შინაარსი ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია:

„მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ლამბარაშვილისა აჭარის ავტონომიის შესახებ—ჩვენ, აჭარის მშრომელთა ხალხის დელეგატები ვუძღვნით უღრმეს მადლობას საქართველოს პროლეტარიატს და მშრომელ გლეხკაცობას, რომლებმაც გვარგუნეს უფლება და საშუალება ჩვენი შინაგანი საქმეთა ჩვენივე ხელით მოგვარებისა და კულტურული, სულიერი თვითგანვითარებისა. საქართველოს მშრომელ ხალხთან ძმური კავშირით და ხელ ხელ ჩაკიდებული და აგრეთვე მის მფარველობის ქვეშ, აჭარის მშრომელი ხალხი დაამარცხებს თავიანთ მტერებს და მოცემულ ავტონომიას მოიხმარს საკეთილდღეოთ და ინტერესების დასაცავად, მასთან ერთად ყრილობა ესალმება საბჭოთა რუსეთის მშრომელთ, რომელთაც იდევს თავზე მთელი ქვეყნის მშრომელთა განთავისუფლება".

კრება შესწყდა ათი წუთით და სხდომის განახლების შემდეგ—მოსმენილ იქნა ამხ. თენგიზ ჟღენტის მოხსენება კოოპერაციის შესახებ და მის მნიშვნელობაზე აჭარისათვის. მომხსენებელი აღნიშნავს იმ უდიდეს როლს, რომელიც უნდა შეასრულოს დღეს კოოპერაციამ ავტონომიურ აჭარაში. ის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დღევანდლამდის აჭარაში თითქმის სულ არ არსებობდნენ კოოპერატივები და თუ ასეთები სადმე მოიპოვებიან—უსახსრობის გამო ჰაერში არიან გამოკიდებულნიო. ეს მდგომარეობა ეხლა, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროს, შეუძლებელია, მთავრობაც ამას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და დიდ დახმარებას აღმოუჩენს ყოველივე საშვალებით თქვენს მუშაობას ამ დარგში, რადგან ეს იქნება თქვენი სამეურნეო ცხოვრების განახლება და გადახალისება.

მოხსენების შესახებ გამართულ კამათში, ამხანაგი შაი-ალა ბოლქვაძე სრულიად მხარს უჭერს მომხსენებელს, აღიარებს კოოპერატივების აუცილებლობას და ითხოვს უახლოეს ხანაში მთელ აჭარაში გახსნილ იქნას რაც შეიძლება მეტი რიცხვი კოოპერატივებისა.

ამხანაგი იმაილ გაბაიძე თხოულობს კოოპერატივები გახსნილ იქნას ყოველივე ჯამეზე და მას საშუალება მიეცეს ფართოთ დაიწყოს მუშაობა.

ამასვე მოითხოვს ამხანაგი დაუდ ეფენდი დიასამიძეც.

ამხანაგი კაიკაციშვილის აზრით დიდათ საჭიროა მთავრობამ დახმარება აღმოუჩინოს ბაზარის გამონახვაში.

ამხ. ლამბარაშვილი ამბობს, რომ მთავრობა ყოველივე ზომებს მიიღებს სისრულეში მოიყვანოს ეს საქმე და უახლოეს ხანში, პირველად გახსნის სამს კოოპერატივს: ქედაში, ხულოში და აჭარის წყალზე.

დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც სრულებით საჭიროებად სცნობს მთელ აჭარაში კოოპერატივთა ქსელის მოფენას და გაძლიერებას. გარდა ამისა, ყრილობა იმედს გამოსთქვამს, რომ მთავრობა არ მოაკლებს არავითარ დახმარებას ფუხარა ხალხს და ფართოდ მიეშველება ამ საქმის მოგვარებაში.

—

ყრილობამ პირველ სხდომაზევე გაუგზავნა მისალმების და სამადლობელი დეპეშა ამხ. ლენინს და ამხ. მდივანს. დეპეშაში ნათქვამია, რომ ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლის თავზე შეკრებილი აჭარის ფუხარა ხალხის პირველი ყრილობა მხურვალე სალამს უძღვნის რუსეთის და საქართველოს პროლეტარიატს, რომელთაც განუწყვეტელი ბრძოლით და უამრავი მსხვერპლით თავისუფლება არგუნეს ყველა ჩაგრულ ერებს და მათ შორის აჭარასაც. ყრილობა ღრმად მადლობას უცხადებს ამისათვის ამ ქვეყნების მუშათა კლასს და იმედოვნებს, რომ მომავალშიც აჭარას ეყოლება ასეთი ერთგული დამცველნი.

სალამი და გამარჯვება მათ ბრძოლას!

ხალებს კონტრ-წინადადებას, ამის გამო ლოიდ-ჯორჯის გამგზავრება ვაშინგტონში გადაიდვა. ლონდონში და პარიზში ამასთან დაკავშირებით მდგომარეობა გამწვავებულია.

უმუშევრობის გამწვავება.

მოსკოვი. 13 ნოემბერი, (რადიო). უკანასკნელი თვეების განმავლობაში ინგლისში კორნვალისის მაღაროებში მუშაობა სრულიად შესწყდა. შავი მუშების წამებას საზღვარი არ აქვს. 26 ნოემბრისათვის ქვემო უელსში დახურავენ კიდევ ნახშირის ორ მაღაროს. ამასობით მოემატება უმუშევართა არმიას. უმუშევარ ნახშირის მთხრელების რიცხვი ამ ჟამად აღწევს 250,000 კაცს.

ოსმალეთი

მოსკოვი 13 ნოემბერი (რადიო). პოლიტიკურ ცნობებით, საფრანგეთ-ოსმალეთის ხელშეკრულების თანახმად, საფრანგეთმა იცნო ოსმალეთის ერთად ერთ ხელისუფლებად ანგორის მთავრობა.

ქრონიკა

— **იუსტიციის სახალხო კომისარიატში.** იუსტიციის სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა საბჭოთა სისხლის სამართლის სახელმძღვანელო დებულებანი, რომელსაც მიზნათ აქვს რეპრესიის საშუალებით დაიცვას საბჭოთა საზოგადოებრივი ურთიერთობის წყობილება. დებულება შეიცავს 6 თავს და 82 მუხლს.

— **განათლების სახალხო კომისარიატის ცენტრალური წიგნთსაცავი.** წიგნთსაცავის [illegible] წინასწარი მუშაობა სრულიად დამთავრებულია, წიგნთსაცავში არის 5000 ტომი, როგორც ახალი საბჭოთა ლიტერატურა, აგრეთვე უცხო ლიტერატურა საზოგადოდ. წიგნების შედარებით ცოტა რაოდენობის გამო წიგნთსაცავი აკმაყოფილებს ჯერ-ჯერობით მხოლოდ განათლების სახალხო კომისარიატის თანამშრომლებს.

— **ბავშვთა სახლი.** განათლების სახალხო კომისარიატის სკოლის ასაკამდე აღზრდის განყოფილებამ გახსნა 7 ნოემბერს ოქტომბრის რევოლუციის სახელობის საბავშვო სახლი პლეხანოვის პროსპექტზე № 154. სახლს დიდი ეზო აქვს და პატარა ბაღი. იმყოფებიან ობოლი ბავშვები 3-7 წლამდე. მეცადინეობის სისტემა მონტესსორის და ფრებელისა. სახლი არის 40 ბავშვისათვის 4 ხელმძღვანელით.

— **კინო-სექცია.** განათლების სახალხო კომისარიატის კინო-სექციამ დაამთავრა „არსენა ჯორჯიაშვილის" ნატურალურად გადაღების სურათი (გენერალ გრიაზნოვის მოკვლა). სურათი დადგმულია რეჟისორ პერესტიანის მიერ, ოპერატორი დიღმელაშვილია. კინო-სექციამ მოიწვია ცნობილი ოპერატორი—ზაველოვი, რომელიც მუშაობდა ისეთ ფირმებში, როგორიც არის „ხანჟონკოვი" და სხ. „არსენა ჯორჯიაშვილის" სურათს აჩვენებენ ტფილისის ყველა კინოებში.

— **დაზღვევის ფონდი სახალხო ბანკში.** სახალხო ბანკთან სპეციალურ დაზღვევის ფონდის შესაქმნელად საქართველოს რევკომმა გადასდო 3 მილიარდი მანეთი. ბანკის გამგეობამ გამოიმუშავა წესდება საქონლის დაზღვევის შესახებ ამ ფონდის ანგარიშზე. დაზღვევის ჯილდოთ დანიშნულია 10 მანეთი 1000 მანეთი თვეში.

— **ტრამვაის ნაწილის დაკვეთა.** ქალაქის რევკომმა ოქტომბრის 26-ს სხდომაზე მოისმინა რა გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის განცხადება საზღვარგარეთ სიმენს-შუკერტის ფირმისადმი ტრამვაის სხვა და სხვა ნაწილის და მასალათა დაკვეთის შესახებ დაადგინა: მიღებულ იქნეს გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის წინადადება, ვაგონის ნაწილების და სხვა და სხვა მასალის შესაძენად გაიცეს 1 ნახ. მილიარდი. აღნიშნული ფული გადახდილ იქნეს შემდეგის წესით. ხელშეკრულობის დადების გაერთიანებულ საერთო ვაჭრობის სალაროში შეტანილ იქნება ავანსის სახით 200 მილ. ხელშეკრულების დადების შემდეგ—400 მილიონი. შემდეგ ერთი თვის განმავლობაში კიდევ 400 მილიონი, დანარჩენი თანხა სალაროს გადაეცემა მაშინ, როდესაც ქალაქის რევკომს ეცნობება რომ მისი დაკვეთა სისრულეში არის მოყვანილი.

— **სასადილოების დახურვის საკითხი.** ქალაქის რევკომმა ოქტომბრის 26-ს სხდომაზე მოისმინა საქართველოს კომპარტიის პლენუმის ოქმის (№ 23) ამონაწერი სასადილოების დახურვის შესახებ და დაადგინა: წინადადება მიეცეს კომუნალურ განყოფილებას, რათა სასადილოთა ლიკვიდაციის საკითხის გამოსარკვევად მიმართოს სასურსათო კომისარიატს, ხოლო ქალაქის სასადილოების ფუნქციები ჯერ-ჯერობით განაგრძონ არსებულ პირობებში.

— **შავი ქვის გატანა.** შავი ქვის დატვირთვა ძლიერ კარგათ მიდის. ყოველ დღე 700 ტონი იტვირთება ხელშეკრულების ძალით დაპირებული 30 ტონის ნაცვლად.

— **გერმანიის ვაჭრობა კავკასიასთან.** კავკასიასთან ვაჭრობისთვის დაარსდა ბერლინში გერმანელთა საზოგადოება სახელით „აღმოსავლეთ ევროპის აზიურ სავაჭრო საზოგადოება" ძირითად თანხით,—1,000,000 მარკით.

— **ქალაქის გამშვენიერება.** ქალაქის რევკომის კომუნალურ მეურნეობის სანიტარულ-ტექნიკურ-სამშენებლო ნაწილის მიერ დამთავრებულია ქვაფენილის შეკეთება კიროჩნისა და მუხრანის ქუჩაზე და აგრეთვე ვერის დაღმართზედაც. შეუდგნენ ჩერქეზიშვილის ქუჩის და ციციანოვის აღმართის ქვაფენილების შეკეთებას.

— დღეს 16 ნოემბერს სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში შესდგება კონცერტი ფრიად საინტერესო პროგრამით, თბილისისთვის ჯერ ცნობილ ნიჭიერ მსახიობის ვიქტორ პეტიპასი.

წერილები პროფკავშირებში

ომში დაჭრილ დასახიჩრებულ მეომართა კავშირში.

დაჭრილ დასახიჩრებულ მეომართა კავშირი დაარსებულ იქნა თვით დაჭრილებისავე მიერ იმ მიზნით, რათა ურთიერთა შორის დახმარებით, თანამშრომლობით და თვით მოქმედებით, შრომის უნარს მოკლებულთ, ვეცილებინათ თავიდან პარაზიტობა და გამხდარიყვნენ სასარგებლო წევრნი საზოგადოებისა. პირადი შრომით და მედგარი მეცადინეობით, აღნიშნულ კავშირის წევრებმა, საძირკველი ჩაუყარეს, მოკლე დროში რამდენიმე სახელოსნოს, თავშესაფარს, სასადილოს და სხვას. მაგრამ უსახსრობის გამო, ამ დაწესებულებებმა ვერ გაშალეს ფრთები. მენშევიკური მთავრობა არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ამ მეტად საჭირო და სასარგებლო საქმეს. სამი წლის განმავლობაში დასახიჩრებულთა კავშირი, მენშევიკური მთავრობის დაუხმარებლად, საკუთარი ინიციატივით ნაშოვნი სახსრებით, უწევდა სხვა და სხვა სახის დახმარებას რესპუბლიკის ინვალიდებს—აძლევდა მათ იაფ-ფასიან და უფასო სადილებს, უშოვნიდა სამუშაოს და სამსახურს, ასწავლიდა ხელობას, აძლევდა სამკურნალო და მატერიალურ დახმარებას და სხვა.

მაგრამ ყველაფერი ეს, როგორც უკვე ვსთქვით, დასახიჩრებულთა მხოლოდ მცირე ნაწილის მოთხოვნილებებს თუ აკმაყოფილებდა. დიდი ნაწილი დასახიჩრებულებისა, განსაკუთრებით კი პროვინციელნი, მზრუნველობის გარეშე იმყოფებოდნენ. დასახიჩრებულთა საერთო კრებებზე პრესაში, მთავრობისადმი წარდგენილ მოხსენებებში, თუ სხვაგან, დეპუტატები მოითხოვდნენ, რათა მათი საკითხი საკანონმდებლო გზით ყოფილიყოს გადაჭრილი—ისინი მოითხოვდნენ სახელოსნოების გახსნა გაფართოებას, თავშესაფრების მოწყობას, ინვალიდთა ოჯახებისათვის ფართოთ [illegible] მიცემას და სხვას, მაგრამ მენშევიკების გვირგვინიანი თუ უგვირგვინო მინისტრები 3 წელზე მეტი ცარიელი დაპირებებით ჰკვებავდნენ მათ. ინვალიდთა სოციალური უზრუნველყოფის საქმეში, მენშევიკები თვითონაც რომ ინვალიდებად აღმოჩნდნენ იმ განსხვავებით, რომ შრომის და ომის ინვალიდებს სურვილიც და უნარიც ჰქონდათ კიდევ შერჩენილი მუშაობისა და აღმშენებლობისა, ხოლო მენშევიკები ამ სურვილის და უნარის ნაწილსაც კი მოკლებული იყვნენ.

საქართველოში კომუნისტური ხელისუფლების დამყარების შემდეგ დასახიჩრებულთა კავშირსაც ახალი იერი მიეცა. სულ რამდენიმე დღეში დასახიჩრებულთა კავშირმა იგრძნო მზრუნველობის ხელი, მენშევიკურმა მართველობამ ვერ შეჰქნა ვერავითარი გეგმა, სისტემა დასახიჩრებულთა მზრუნველობის საქმეში—მათ არავითარი პროგრამა დასახიჩრებულთა შრომის გამოყენების შესახებ არ ჰქონიათ—და ამავე დროს კი ის ორგანიზაცია, რომელიც გარკვეული პლატფორმით გამოდიოდა დაჭრილ დასახიჩრებულთა სოციალურ უზრუნველყოფის საქმეში და რომელსაც საამისო აპარატიც აშყობილი ჰქონდა, არავითარ გამოხმაურებას, მთავრობის მხრით, არ ჰპოულობდა. კომუნისტურმა მთავრობამ, ძალაუფლების ხელში აღებისთანავე განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია დასახიჩრებულთა კავშირს; მთავრობამ გამოსცა საგანგებო დეკრეტი, რომლითაც კავშირს დაევალა რესპუბლიკის ყველა დაჭრილ დასახიჩრებულ მეომართა საქმეების გამგეობა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია—მთავრობამ თავის თავზე მიიღო აღნიშნულ კავშირის შენახვა.

კავშირის არსებული სახელოსნოები გაფართოებულ იქნენ—მოეწყო აგრეთვე რამდენიმე ახალი სახელოსნოები, თავშესაფრები და სხვა—ამ ჟამად კავშირს შემდეგი სახელოსნოები აქვს: ფეხსაცმლები, სამკერვალო, ჩულქების საქსოვი, საკინძავი, ჩითქების და საპარიკმახერო. თავშესაფრები: ინვალიდთა ბავშვებისთვის და სრულ ინვალიდთათვის და ერთი სასადილო. ყველა სახელოსნოებში, სწარმოებს მუშაობა. ასეთია ის ცვლილებები დაჭრილ დასახიჩრებულთა კავშირში, რომელიც მოხდა კომუნისტური ხელისუფლების მოსვლით. მართალია ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო და გასაკეთებელი, მაგრამ რაც გაკეთდა იმ მოკლე ხანში, ის თავმდებია იმისა რომ დაწყებული საქმე საბედნიეროდ დაგვირგვინდება. აქ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ის უდიდესი ყურადღება და დიდი მზრუნველობა, რომელსაც იჩენს აღნიშნულ კავშირის მიმართ, სოციალური უზრუნველყოფის კომისრის მოადგილე ამხ. ციხიძე.

გ. მ.

პროვინციაში

გურია.

ხშირად გაიგონებ ხოლმე, რომ გურული ხალხი მკვირცხლია, გურული ხალხი გათვითცნობიერებულია და მართლაც, შედარებით სხვა დანარჩენ საქართველოს მცხოვრებლებთან ის უფრო დაწინაურებულია კულტურულად; აქ თვით მოხუცებულებშიაც-კი იშვიათად შეხვდებით, რომ წერა-კითხვა არ იცოდეს ვინმემ, წერა-კითხვის უცოდინარს ახალგაზრდებში სრულებით ვერ იპოვით; წერა, კითხვა, ლაპარაკი, ქართულად, რუსულადაც საკმაოდ ეხერხებათ. შეიძლება ეს არის მიზეზი უმთავრესი მიზეზი, რომ გურული ხალხი ყოველივე ახალს ადვილად ეთვისება.

წინად იშვიათად შეხვდებოდით გურიაში ბოლშევიკურ ორგანიზაციას, იშვიათად გაიგონებდით კომუნისტებზე ლაპარაკს, კომუნიზმის დამცველ სიტყვებს. მენშევიკების რეჟიმმა გურიის ხალხისთვის მოუსპო ყოველივე საშუალება კომუნისტური ორგანიზაციის არსებობის და განვითარების. ეხლა-კი, როცა მშრომელი ხალხის გამარჯვებული ბრძოლით ეს რეჟიმი დამსხვრეულია, აღარ არსებობს მათ მიერ დადებული ბორკილები, აღარა სდგას სადარაჯოებზე ბოლშევიკების დამჭერი, მენშევიკების მიერ მოტყუებული ქართველი ჯარის კაცები და „გვარდიელები", გურიის მშრომელ მასაში ხშირია ეს ბოლშევიკები, კომუნისტებზე მოლაპარაკე, კომუნიზმის დამცველი ხალხი, და მათი ორგანიზაციები. დღეს აქ იშვიათად შეხვდებით მენშევიზმზე ლაპარაკს, ან შინაურულ ასკილობაში მენშევიკობით ვინმე იწონებდეს თავს; თვით „მირთ ცხეული", მენშევიკებიც-კი ვერ ძლევენ თავს აწის ნებას.

ეკლესიების წინააღმდეგ ბრძოლა გურიაში.

მიუხედავათ იმისა, რომ ეკლესიისა და სახელმწიფოს შესახებ ბევრს ყვიროდნენ მენშევიკები, მათ უბრალო დემოკრატიული პროგრამაც ვერ გაატარეს ცხოვრებაში. ეკლესია ჩამოაშორა სახელმწიფოს, ამ ჩამოშორების მიზეზი განუმარტა ხალხს და აშკარად, გულ-ახდილად, გამბედაობით მიუთითა მის მავნებლობაზე მხოლოდ საბჭოთა მმართველობამ, მისმა ხელმძღვანელმა კომუნისტურმა პარტიამ. ამ ახსნა-მითითებამ სასურველი შედეგი გამოიღო გურიაში.

გურიის ერთ სოფელში, მდინარე ნატანების სამხრეთ დასავლეთით ე. წ. ქვემო ვაკიჯვარში [illegible] ტყეში, რომელიც გადაჰყურებს მთელ გურიას, ერთ გვარეულობას (გოგოტიშვილებს) გაუმართავთ თავიანთი გვარეულობის სასაფლაო. სასაფლაოს არ „ამშვენებს" ეკლესია, არ არის ჯვრები; მარხვენ მკვდრებს უმღვდლოთ, უწირავ ლოცვით. აქ ჯერჯერობით დაუმარხავთ ოთხი (4) გვამი, რომელთა შორის არიან როგორც ახალგაზრდანი ისე მოხუცებულნიც. სასაფლაოზე ვერ ნახავთ დასობილ ჯვრებს; რომ არ აებნათ ქირისუფალთ თავიანთი მკვდრები დასაფლავებულნი თავზე დაუსვიათ მხოლოდ ჯოხები წარწერით—აი მაგალითი სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლისა!

როგორც გადმოგვცეს ამ მაგალითს ხსენებულ სოფელში თურმე სხვებსაც აქვს განზრახვა მიჰბაძონ.

მოსავლის პირი გურიაში.

მოსავალს გურიაში როგორც ღვინისას ისე სიმინდისას კარგი პირი უჩანდა; მაგრამ უკანასკნელ ხანს,—სექტემბრის თვის გამუდმებულ წვიმებს, რომლის დროსაც საკმაოდ აცივებულიყო,—ალაგ მდებარე მთებში სრულებით ჩამოეთოვა,—ყურძნისთვისაც და სიმინდისთვისაც დიდი ვნება მოუყენებია; ჯერ საკმაოდ დაუმწიფებელი სიცივისგან მოცინული ყურძნის მტევნები უმრავლეს ნაწილს შემდეგით ხეზე ვერ მაგრდებიან და ცვივიან ძირს, სიმინდიც უმზეოთით, გამუდმებული წვიმა-სიცივეების გამო ვერ დამწიფებულა, მაგრამ ოქტომბრის მეორე ნახევარიდან დაიწყო კარგი დარები და სოფლის მუშებსაც იმედი მიეცათ სიმინდის გამორჩენებისა—დამწიფების. საერთოდ, როგორც ამბობდნენ მცოდნე სოფლის მუშები, თუ ერთხანს აწ მაინც წამოვა დარობა, ცოტა დაგვაცლის,—რის იმედსაც ისინი არ კარგავდნენ,—პირნახელი გამოსწორდება. ლანჩხუთ-ნიგოითის რაიონს გარდა, სიმინდის მოსავალი გურიაში საკმაო უნდა დარჩეს.

აღსანიშნავია, რომ ოზურგეთიდან დაწყებული ნატანების სადგურამდის გრძელი თვალუწვდენელი მინდვრები სულ ყანებით არიან შემოსილი, [illegible] სხვა დროს არ ყოფილა სულ, ან იშვიათად ყოფილა ყანად. ხსენებული მიწები გურიაში საუკეთესო ნოყიერ მიწად ითვლება.

პარტიის გაწმენდა-შემოწმება გურიაში.

პარტიის გამწმენდ-შემმოწმებელ კომისიის ხელმძღვანელად გურიაში არის წარგზავნილი ძველი მუშა ბესო გოგია. დღეს როგორც კომუნისტებისთვის ისე არა კომუნისტებისთვისაც ყურადღების ცენტრად გამხდარა კომუნისტური პარტიის წმენდა-შემოწმება. როგორც ეს მოსალოდნელი იყო და აქვს ამას ადგილი ყველგან, აქაც ამ წმენდამ ბევრი უვარგისი პარტიის წევრი,—კომუნისტები გარიცხა პარტიის გარეშე, მათ შორის მოხვდნენ ბევრი „ძველი კომუნისტებიც". აი ამ გარიცხულ „კომუნისტების" წუწუნს, უკმაყოფილებას, ჩივილს არა აქვს საზღვარი. ოზურგეთის პატარა ქუჩებში ისე ვერ გაივლი, რომ ვინმე არ შეგხვდეს ნაცნობი, არ შეგაჩეროს, არ შემოგჩივლოს თავიანთი პოლიტიკური სიკვდილი:—„პარტიის გარეშე მე ცხოვრება არ შემიძლია!.. კანდიდატათ მაინც დამტოვონ, „ეცოდენ ჩემს მდგომარეობას"—ამბობენ ეს პარტიის მოწყვეტილი მომჩივნები. ერთი შეხედვით გვებრალებათ ესენი, მაგრამ როცა გაიგებ ჯამს ყველა მომჩივნების ლაპარაკს, რომლებიც ერთიანად იმალებიან თავს წამოყენებულ ბრალდებაში, თვით გარეშე მაყურებელსაც აფიქრებინებს რომ კი იქნებოდნენ ისინი პარტიის გარეშე დაყენებულნი. მხოლოდ ერთი შემთხვევა ყოფილიყო, რომ ძველი, საკმაოდ [illegible] კომუნისტს არ აეღო ხელი მუშაობაზე, არ მიეტოვებინა თავისი პოსტი როცა მისთვის ეცნობებინათ თავისი წარსული პარტიული ფილისტერობისათვის პარტიიდან გარიცხვის ამბავი.—„მე დავიგვიანე, რომ გამწმენდმა კომისიამ პარტიის გარეშე დამაყენა, მაგრამ მე მაინც გავაგრძელებ ჩემს მუშაობას, არ ვიშურებ საბჭოთა განსამტკიცებლად ჩემს ენერგიას".—უპასუხნია იმ [illegible].

საერთოდ უნდა აღინიშნოს,—იმის გარდა რომ გაწმენდამ [illegible], ვამაგრებთ პარტიის ავტორიტეტი მასაშიც. დიდი პოლიტიკური აღზრდა შეაქვს მასაში, რათა კომუნისტების პრესტიჟი და გავლენა მათში ერთი ასათ იზრდება.

ბათუმი.

ისე როგორც ოზურგეთში, აქაც ვერ ნახავ ნაცნობ ამხანაგს, რომ გამწმენდელ კომისიის მუშაობა მოსწონდეს, მას რაღაც „მიდგომაში" ვითომ ბრალს არა სდებდეს. სხვათა შორის ასეთი უკმაყოფილება—ბრალდებების გამო, ცენტრალურ კომისიის მიერ პირველი ადგ. კომისია გადაყენებულ იქმნა აქ და დაინიშნა ახალი, სადაც შედიან ამხ. [illegible] და [illegible] ნახარაძე; მაგრამ ჩემის აზრით უკმაყოფილო ხალხის დიდ ნაწილს ვერც ეს კომისია მოუსპობს მიზეზს უკმაყოფილებისას, რადგან „დამსახურებისამებრ" პარტიიდან დათხოვნისაგან ვერც ეს კომისია იხსნის მათ, ისე კი „კმაყოფილი" ისინი არ იქნებიან.

ხევსური.

—

რაჭის მაზრაში მომხდარი ახალი უბედურება.

ისედაც ყოველ-მხრივ შევიწროვებულ რაჭის მაზრას, თავს დაატყდა ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში ახალი უბედურება. ჯერ განუწყვეტელმა წვიმებმა და თან თოვლმა ერთბაშად გაანადგურა გლეხის სარჩო საბადებელი. წლეს სიმინდის და პურის მოსავალი საშუალოზე ნაკლები იყო, ხოლო სიმინდი რაც [illegible], უდროოთ მოსულმა თოვლმა გათოხნა ერთბაშად, დალპა წვიმაში, მოექცა თოვლ ქვეშ. არ ახსოვთ არავის მაზრაში ისეთი საშინელი ნიაღვარი, რომელიც ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში იყო. მდინარე რიონმა ჩვეულებრივ სიმაღლეზე მოიმატა თითქმის სამი საჟენი. ამ საშინელმა ბუნების სტიქიამ მთელ მაზრას მიაყენა დიდი ხნით მოურჩენელი ჭრილობა. დაინგრია და [illegible] სამი დიდი ხიდი: 1) წესის ახალი ჯაჭვის ხიდი, 2) ბუგეულის ხის ხიდი, 3) ახლათ დამთავრებული ჭებლოს ჯაჭვის ხიდი, 4) ოთხი თუ ხუთი პარომი, 5) ბევრ ადგილას წისქვილები. 6) ჩამორეცხა და სრულიად ქვაზე დააყენა მთელ მაზრაში რამოდენიმე ოცეული დესეტინა სახნავი მიწები რაც ყოველ წლიურათ ხდება. საჭიროა დიდი და ენერგიული სასწრაფო დახმარება გაეწიოს მაზრას ყოველ მხრივ. ამ უბედურების საშინელმა მრისხანებამ შეიწირა [illegible] დიდ ხიდთან ერთად [illegible] ხვანჭკარის რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი ამხანაგი ბიქტორ [illegible] ძე დვალი, ს. ზედა-შავრის [illegible]. ამხანაგ ბიქტორ დვალის სახით რაჭის ორგანიზაციამ დაჰკარგა ჩვენი პარტიის ერთი საუკეთესო მუშაკი, რომელიც ზედა შავრის იაჩეიკის წევრათ ითვლებოდა 1920 წლიდან. დაღუპული ამხ. ბიქტორ დვალი, თუმცა ჩვენი პარტიის ახალი წევრი იყო, მაგრამ მისმა ნიჭმა და დაუღალავმა ენერგიამ ის მალე წამოაყენა [illegible] ცხოვრების ასპარეზზე. გადატრიალების პირველ დღეებიდანვე ნამდვილ თემში ის უდგება სათავეში მოძრაობას და იჩენს სამაგალითო უკვე კარგათ გამოცდილ კომუნისტის უნარს ყოველ მხრივ. შემდეგ ის ინიშნება ხვანჭკარის რაიკომის ინსტრუქტორ ორგანიზატორათ, სადაც ის თავდადებით და ერთგულად ემსახურებოდა მშრომელი მასის იდეალებს.

ოქტომბრის პირველ რიცხვებში უკვე სამაზრო პარტკომი მას ამტკიცებს რაიკომის პასუხისმგებელ მდივნათ. აქაც კი იჩენს სამაგალითო გამოცდილებას... ბუნების სტიქიურმა უბედურებამ აღარ დაანება მას რომ მეტი სამსახური გაეწია ტანჯული ხალხისათვის და ჯერ კიდევ სრულიათ ახალ გაზრდა ოცდა ხუთი წლის სიცოცხლის გამოსალმა...

განისვენე მშვიდობით ამხანაგო ბიქტორ. შენი სახელი იქნება დაუვიწყარი.

რაჭის სამაზრო პარტკომის პასუხისმგებელი მდივანი დ. ნახარიძე.

—

სამტრედია.

წელს მთელს სამტრედიის რაიონში შესანიშნავი ყურძნის მოსავალი იყო, რამაც გამოიწვია აუარებელი ღვინის შემოტანა ქალაქში. ყველას მოეხსენება თუ ალკოჰოლიზმი როგორ სწამლავს ადამიანის ორგანიზმს და ჩვენ ძლიერ გვაფიქრებს, რომ ყურძნის ბევრი მოსავლით ხალხი სხვანაირათ სარგებლობს, ვინემ საჭიროა. ეს უკვე აქედანვე ეჩნევა, დღე არ გადის ისე, რომ რამოდენიმე მთვრალი არ ნახოთ სამტრედიის ქუჩებში, რომლებიც ბანცალ-ბანცალით დადიან, არიან ისეთი პირებიც, რომლებსაც თავი „ინტელიგენციებათ" მოაქვთ, კიდეც სოციალისტობენ, მაგრამ ყოველ დღე ღვინით გალეშილი არიან და ერთ ბაყალ-მაყალს სტეხენ. ამიტომ საჭიროა მიექცეს ამას ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

— სამტრედიის ზოგიერთ უბნებში ამ ბოლო დროს ძლიერ გახშირდა წვრილი ქურდ-ბაცაცობა, იპარავენ გოჭებს, ქათმებს და სხვ., საჭიროა აღმოჩენილ იქნან ასეთი ნაძირალები...

— სამტრედიის ბაზარზე 5 ნოემბერს შემდეგი ფასები იყო სურსათ-სანოვაგისა: სიმინდის ფქვილი 65000 მან. ხორცი 90,000 მან. ქართოფილი ფუთ. 20 000 მან. კვერცხი ათი ცალი 7,000 მან. ყველი 7.000 მან. გირ. და სხვა...

ხან-კანი.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი" ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის შოსე. 5—53.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52.

— მე-5-ე რაიონის ბიურო—[illegible].

— საქ. ახალგ. კომუნისტური კავშირის ცკ—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის

ყველა სამაზრო კომიტეტებს, ბათომის საოლქო კომიტეტს, თფილისისა და ფოთის ქალაქის კომიტეტებს, ჭიათურის, ტყიბულის, სამტრედიის, ხონის, ბორჯომისა და ხაშურის რაიონულ კომიტეტებს და ს. ა. კ. კ. თ. კ. 1, 2, 3, 4 რაიონულ კომიტეტებს.

ც. კ. ბიუროს დადგენილების თანახმად, 25 ნოემბერს ქ. ტფილისში, მოწვეულია თათბირი ეკონომიურ განყოფილებათა (არა სამრეწველო მაზრებისა), და შრომისა და განათლების განყოფილებათა (სამრეწველო მაზრებისა და რაიონებისა).

დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

1) ც. კ. განყოფილების ანგარიში.
2) მდგომარეობა მშრომელი ახალგაზრდობისა, ახალ სატარიფო პოლიტიკასთან დამოკიდებულების დროს.
3) განყოფილების მორიგი ამოცანები.
4) მიმდინარე საკითხები.

ყველა ზემო აღნიშნულ ორგანოებს წინადადება ეძლევა 25 ნოემბრისათვის, გამოგზავნონ დელეგატებათ, ხსენებულ განყოფილებათა გამგეები, რომელნიც წარმოადგენენ წერილობით მოხსენებას, ამ დარგში თავიანთ მუშაობის შესახებ.

მდივანი ს. ა. კ. კ. ც. კ. ძნელაძე.
შრომისა და განათლების განყოფილების გამგე დიადარიანი.

რევკომების თავმჯდომარეთა ყრილობა

კვირას, 20 ნოემბერს, დილის 11 საათზე გაიხსნება საქართველოს სამაზრო და საქალაქო რევკომების თავმჯდომარეთა და შინაგან მართველობის განყოფილებათა გამგეების შეერთებული ყრილობა

შემდეგი წესრიგით:

1) საბჭოთა მთავრობის საერთაშორისო მდგომარეობა და ახალი ეკონომიური პოლიტიკა.
2) შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოხსენება მისი მოღვაწეობისა და საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ.
3) მიწად მოქმედების კომისარიატის მოხსენება მისი მოღვაწეობისა და [illegible] პოლიტიკის შესახებ.
4) სურსათის კომისარიატის მოხსენება მისი მოღვაწეობისა და სასურსათო პოლიტიკის შესახებ.
5) უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს მოხსენება მოღვაწეობისა და ეკონომიურ პოლიტიკის შესახებ.
6) მოხსენება ფინანსიურ პოლიტიკის შესახებ.
7) მოხსენებანი ადგილებიდან.

საქართველოს ყველა მუშათა კოოპერატივებს და სამაზრო პროფესიონალურ ბიუროებს

თბილისის მთლიან მუშათა კოოპერატივი ამა 1921 წლის 25 ნოემბერს იწვევს საქართველოს მუშათა კოოპერატივების წარმომადგენლების თათბირს.

დღის წესრიგი: 1) მუშათა კოოპერატივების ამოცანები, 2) მოხსენებანი ადგილებიდან, 3) საორგანიზაციო საკითხი, 4) დამოკიდებულება ცეკავშირთან.

თვითეულ მუშათა კოოპერატივის გამგეობა აგზავნის თავის წარმომადგენლად მხოლოდ ერთ დელეგატს.

დღის წესრიგში აღნიშნულ საკითხების სისწრაფისა და მნიშვნელობისა გამო წინადადება ეძლევათ ყველა მუშათა კოოპერატივებს და სამაზრო პროფესიონალურ ბიუროებს დროით წარმოგზავნონ თავიანთი წარმომადგენელნი. ყველა წარმომადგენელს ევალებათ თან იქონიონ ის მასალები, რაც შეეხება მუშკოპებს.

დელეგატები უნდა გამოცხადდნენ თავისი მანდატებით ქ. თბილისის მთლიან მუშათა კოოპერატივში [illegible] ქუჩა № 7. (ყოფილ. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების შენობა—მე 3 სართული).

ს. ს. ს. რ. პროფესიონალურ კავშირების საბჭოს თავმჯდომარე დუმბაძე.
მთლიან მუშათა კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე ბოლქვაძე.